



კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
COMPETITION AND STATE PROCUREMENT AGENCY

ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო
დოკუმენტაცია

ბენზინი სუპერი (ოქტანობა არანაკლებ 98)

2013 წელი 13 დეკემბერი

სარჩევი

1.შესყიდვის ობიექტი	3
2. ბენზინი სუპერის (ოქტანობა არანაკლებ 98) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები.....	3
3. ბენზინი სუპერის (ოქტანობა არანაკლებ 98) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის ვადები და სხვა პირობები.....	10

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის, „2014 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის N1816 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების საფუძველზე.

1. შესყიდვის ობიექტი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი ბენზინი სუპერი (ოქტანობა არანაკლებ 98) (შემდგომში - სუპერი). სუპერის შესყიდვის საორიენტაციო მოცულობა შეადგენს 767 714 ლიტრს, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციები არიან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შემსყიდველი ორგანიზაციის სახით რეგისტრირებული შემსყიდველი ორგანიზაციები.

2. ნავთობპროდუქციის (საწვავის) - ბენზინი სუპერის (ოქტანობა არანაკლებ 98) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები

2.1 ნავთობპროდუქციის (საწვავის) - ბენზინი სუპერის (ოქტანობა არანაკლებ 98) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (შემდგომში - კონსოლიდირებულ ტენდერი) მონაწილეობის მისაღებად დაიშვება მხოლოდ სისტემაში მიმწოდებლად რეგისტრირებული მომხმარებელი.

2.2 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ მიმწოდებელს, რომელიც საქართველოს მასშტაბით ფლობს/სარგებლობაში აქვს (მათ შორის ფრენჩაიზინგი) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სულ მცირე 45 ავტოგასამართი სადგურისაგან შემდგარი ნავთობპროდუქციის (საწვავის) (შემდგომში - საწვავი) საცალო რეალიზაციის ქსელი.

2.3 მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებასთან წარდგენილი უნდა იქნეს სულ მცირე 45 ავტოგასამართი სადგურისაგან შემდგარი საწვავის საცალო რეალიზაციის ქსელის ფლობის/სარგებლობის (მათ შორის ფრენჩაიზინგის) შესახებ ინფორმაცია, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის მიერ.

2.4 მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საწვავის მიწოდების გეოგრაფიული დაფარვის რუქა, სადაც მითითებული უნდა იყოს ავტოგასამართი სადგურების ადგილმდებარეობა (მისამართი).

2.5 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე მიმწოდებელმა თავის სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ცნობები ბიუჯეტის წინაშე დავალიანებისა და ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ. ცნობების გაცემის თარიღი უნდა იყოს არაუადრეს 2013 წლის 1 დეკემბრისა. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, თუ 2014 წლის ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიამ (შემდგომში – სატენდერო კომისია) მიიჩნია, რომ მითითებულ ცნობებში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით მიზანშეწონილი არ არის აღნიშნულ მიმწოდებელთან სუპერის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) დადება, მიმწოდებელი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

2.6 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობისათვის მიმწოდებელმა უნდა გადაიხადოს კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური – 5000 ლარი; კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის საფასური გადახდილ

უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, მიუხედავად იმისა, თუ 2014 წელს საწვავის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ რამდენ კონსოლიდირებულ ტენდერში მიიღებს მონაწილეობას მიმწოდებელი. საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შემდეგ ანგარიშზე:

<i>მიმღების ბანკი</i>	<i>ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი</i>
<i>ბანკის კოდი</i>	<i>REPLGE22</i>
<i>მიმღები</i>	<i>სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო</i>
<i>მიმღების ანგარიში</i>	<i>GE52BR0000010591718543</i>

2.6.1 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) საფასურის გადამხდელი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

2.7 გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადება ძალაშია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.8 სისტემაში რეგისტრირებული ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა, ვალდებულია სუპერი შეისყიდოს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლისაგან.

2.9 იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარჯვებული მიმწოდებლისაგან სუპერის შესყიდვა იწვევს სახელმწიფო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურისაგან შემსყიდველი ორგანიზაციის 15 კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორების გამო, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია სხვა მიმწოდებლისაგან ლოკალური აუცილებლობისათვის საჭირო მოცულობის სუპერი შეისყიდოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით სატენდერო კომისიისადმი მიმართვის გარეშე.

2.10 კონსოლიდირებული ტენდერი ჩატარდება სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა გაიმართება 1 ლიტრი სუპერის ფასზე.

2.10.1 კონსოლიდირებულ ტენდერში 1 ლიტრი სუპერის საწყისი სავაჭრო ფასია 1.90 ლარი (ერთი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი). მინიმალური ბიჯის ოდენობა შეადგენს 1 თეთრს (0.01 ლარს).

2.10.2 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მიმწოდებელი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე დაბალ საბოლოო ფასს და ამასთან დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი მიმწოდებლის მიერ თანაბარი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ მიმწოდებელს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ფასი.

2.11 გამარჯვებული მიმწოდებლის საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z“ აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z=C/(R*(D/1000)*(100\%+18\%)) - P$$

რომელშიც: C - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ სუპერზე (ლარში); R –აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2013 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული; D - გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი სუპერის სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ³); 18% - დღგ; P - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2013 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში.

2.12 გამარჯვებული მიმწოდებლის 1 ლიტრი სუპერის ფასი ყოველი კალენდარული თვისათვის გამოითვლება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$C=R*(P+Z)*(100\%+18\%)*D/1000$$

სადაც: P და R წარმოადგენს წინა კალენდარული თვის (საანგარიშო თვე) შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს, ხოლო Z და D გამარჯვებულ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ სიდიდეებს, რომლებიც უცვლელია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.13 C-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ R-ის ან/და P-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს C-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას სუპერის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთან მიმართებაში. ამასთან, C უნდა იყოს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი სუპერის მიწოდების კალენდარული თვის განმავლობაში არსებული ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 15 თეთრით (0,15 ლარით) ნაკლები.

2.13.1 იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი სუპერის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკული ფასი წინა თვის შესაბამის მაჩვენებელზე 10%-ზე (ასეულის სიზუსტით) მეტით შემცირებულია, მაშინ მიმდინარე თვის C უნდა იყოს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი სუპერის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%-ზე მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

მაგალითი: მიმდინარე თვე არის მარტი, საანგარიშო თვე არის თებერვალი, ხოლო საანგარიშო თვის წინა თვე არის იანვარი. შესაბამისად, თუ გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში თებერვლის თვეში ერთი ლიტრის საშუალო ფასი იანვრის ანალოგიურ ფასთან მიმართებაში შემცირებულია 10%-ზე მეტით, მაშინ მარტის თვეში თვის C უნდა იყოს თებერვლის თვის საშუალო ფასზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%-მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

2.13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არ მოხდა დამატებითი შეთანხმების სახით C-ს ცვლილების ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ გამარჯვებული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული შესაბამისი თვის C-ს ოდენობით. C-ს ცვლილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სატენდერო კომისიას.

2.14 კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადაიხადოს კონსოლიდირებულად შესასყიდი სუპერის საორიენტაციო ღირებულების 1%-ის ოდენობის თანხა იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს სუპერის მიწოდებაზე ხელშეკრულების დადებაზე ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.15 გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

2.16 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგად გამარჯვებულ მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი სუპერის ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) სუპერის საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დაჩენილი თვეების რაოდენობაზე.

2.17. სატენდერო დოკუმენტაციის 2.16 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში,

ახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების საკითხი წყდება სატენდერო კომისიის მიერ.

2.18 გამარჯვებულმა მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადებიდან ეტაპობრივად მაგრამ არაუგვიანეს 31 იანვრისა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს ბარათებით ყველა ის შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთანაც დადებული იქნება ხელშეკრულება. ამ სატენდერო დოკუმენტაციის 2.18.1 პუნქტით გათვალისწინებული სისტემის სრულად დაწერგვამდე, სუპერის მიწოდება უნდა მოხდეს ბარათების მეშვეობით.

2.18.1 გამარჯვებულმა მიმწოდებელმა 2014 წლის წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 1 ივლისისა, უნდა უზრუნველყოს ყველა იმ შემსყიდველი ორგანიზაციის ავტომანქანა, რომელთანაც გააფორმებს ხელშეკრულებას სუპერის მიწოდებაზე (შემდგომში ავტორიზებული ავტომანქანა), აღჭურვა ისეთი სისტემით/საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებას და იდენტიფიცირებას და, შედეგად, უზრუნველყოფს გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე სუპერის ჩასხმას მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში - *ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა* - შემდგომში აგაი სისტემა.

2.18.2 გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს აგაი სისტემის დამონტაჟება ყველა იმ ავტორიზებულ ავტომანქანაზე, რომელიც ავტორიზაციას მიიღებს 2014 წლის 20 ივნისის შემდეგ და 2014 წლის 20 დეკემბრამდე, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან შესაბამისი განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

2.18.3 აგაი სისტემის კომპონენტები წარმოადგენს გამარჯვებული მიმწოდებლის საკუთრებას, რომელსაც იგი დროებით, 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საფასურის გარეშე გადასცემს შესაბამის შემსყიდველ ორგანიზაციებს მათ ავტორიზებულ ავტომანქანებზე ამ სატენდერო დოკუმენტაციის 2.18.1 და 2.18.2 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად დამონტაჟების გზით. გამარჯვებულმა მიმწოდებელმა არაუგვიანეს 2015 წლის 31 იანვრისა უნდა მოახდინოს შემსყიდველი ორგანიზაციის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული აგაი სისტემის კომპონენტის დემონტაჟი, რისთვისაც შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია 2015 წლის 1 იანვრიდან გამარჯვებულ მიმწოდებელთან წინასწარ შეთანხმებულ, გონივრულ ვადაში განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები მის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული აგაი სისტემის კომპონენტის გამარჯვებული მიმწოდებლისთვის უკან დაბრუნების მიზნით, ან აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში - აუნაზღაუროს აღნიშნული კომპონენტის საინვოისო ღირებულება.

2.18.4 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს გამარჯვებულ მიმწოდებელთან (მაგ. გამოყოს უფლებამოსილი წარმომადგენელი, შეათანხმოს ვადები და ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა და რიგითობა და სხვა საკითხები) აგაი სისტემის მის ავტორიზებულ

ავტომანქანაზე გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ დამონტაჟებისა და დემონტაჟის პროცესის სწრაფად და ეფექტურად წარმართვის მიზნით.

2.19 გამონაკლის შემთხვევაში („ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიული საქმიანობის განხორციელების საჭიროება, შენობა-ნაგებობის გათბობის, უწყვეტი ენერგომომარაგების ან/და დასუფთავების საჭიროება, სპეციალური ტექნიკის საწვავით უზრუნველყოფა), თუ შესასყიდი სუპერის მოცულობა 2014 წლის განმავლობაში 3 000 ლიტრს აღემატება, არასაბარეთე და/ან აგაი სისტემის გარეშე სუპერის შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით შემსყიდველი ორგანიზაცია შესაბამისი დასაბუთებით (სუპერის მოცულობა, სატრანსპორტო საშუალება და მისი საშუალო საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე ან საწვავის მოხმარების სხვა ობიექტის ანალოგიური მონაცემები, ხარჯვის პერიოდი) წერილობით/ელექტრონულად მიმართავს სატენდერო კომისიას, ხოლო 3 000 ლიტრზე ნაკლები მოცულობის შემთხვევაში – ასეთი შესყიდვის განხორციელების თაობაზე ცნობის სახით (სუპერის მოცულობა, სატრანსპორტო საშუალება და მისი საშუალო საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე ან საწვავის მოხმარების სხვა ობიექტის ანალოგიური მონაცემები, ხარჯვის პერიოდი) ელექტრონულად ატყობინებს სატენდერო კომისიას, მას შემდეგ რაც გააფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას. ამ პუნქტით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში 3 000 ლიტრზე ნაკლები მოცულობის სუპერის შესყიდვისთვის არ არის საჭირო სატენდერო კომისიის თანხმობა.

2.20 2014 წლის განმავლობაში სუპერის სითხის სახით 3 000 ლიტრის და მეტის შესყიდვის აუცილებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, გამოიყენოს სისტემაში არსებული შესყიდვის ელექტრონული პროცედურა. შემსყიდველი ორგანიზაცია სითხის სახით სუპერის შესყიდვის ელექტრონულ პროცედურას ატარებს ყოველთვიურად არანაკლებ ერთი თვის განმავლობაში საჭირო რაოდენობის საწვავზე. ელექტრონული პროცედურისას ერთი ლიტრი სუპერის სავარაუდო ღირებულება უნდა იყოს 5 თეთრით ნაკლები კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სუპერის იმ თვის არსებულ ფასთან მიმართებაში, ხოლო პროცედურის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ერთი ლიტრი სუპერის სავარაუდო ღირებულება უნდა იყოს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სუპერის მიმდინარე თვის არსებული ფასის ტოლი. ელექტრონული პროცედურის ხელშეორედ უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია სუპერს სითხის სახით შეისყიდის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლისაგან იმ პერიოდში მოქმედი ფასებით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სუპერის სითხის სახით ტრანსპორტირების ხარჯები დაეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას, თუ შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მიმწოდებელმა სისტემაში სხვა შესაბამის დოკუმენტებთან ერთად უნდა ატვირთოს სუპერის ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი. სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეცვალოს სატენდერო დოკუმენტაციის ამ პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა.

2.21 თითოეულმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენიდან ეტაპობრივად მაგრამ არაუგვიანეს 10 დღისა უნდა წარუდგინოს

გამარჯვებულ მიმწოდებელს მისი იმ ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა, რომლებშიც უნდა ჩაისხას სუპერი, თითოეულზე დაწესებული სუპერის ლიმიტები და სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრები.

2.22 თითოეულმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ სუპერის ხელშეკრულებას დანართის სახით უნდა დაურთოს ავტორიზებული ავტომანქანების სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი.

2.23 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად მიწოდებული სუპერის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

2.24 გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, სატენდერო კომისიას 2014 წლის განმავლობაში სამჯერ არანაკლებ სამთვიანი ინტერვალით წარუდგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით შემდეგ პარამეტრებზე: ოქტანობა, სიმკვრივე, ტყვიის შემცველობა, ბენზოლის მოცულობითი წილი, არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი, გოგირდის შემცველობა, ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის კალიბრი.

2.24.1 შემსყიდველ ორგანიზაციას ან გამარჯვებულ მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს ალტერნატიული ექსპერტიზა, თუ რომელიმე მათგანი არ ეთანხმება გეგმიური ექსპერტიზის შედეგებს. ასეთ შემთხვევაში - ალტერნატიული ექსპერტიზის ხარჯები უნდა გაიღოს იმ მხარემ, ვინც მოითხოვა ალტერნატიული ექსპერტიზა. ალტერნატიულ ექსპერტიზას აქვს უპირატესი ძალა, თუ იგი შესრულებულია საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის მიერ (მაგ. TUV, SGS და სხვ), რომელსაც არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება გააჩნია საწვავის ექსპერტიზის სფეროში. ალტერნატიული ექსპერტიზის შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი გამარჯვებულ მიმწოდებელსა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებელს შორის (მაგ. საწვავის წარმოშობის ქვეყანასთან, მიმწოდებელსა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებლის ურთიერთდამოკიდებულებასთან და სხვა საკითხებთან მიმართებაში, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ექსპერტიზის დასკვნის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა).

2.24.2 თუ შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო კომისიას დაუსაბუთებს მისი ავტორიზებული ავტომანქანების დაზიანების ფაქტთან საწვავის შესაძლო კავშირს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს გამარჯვებულ მიმწოდებელს არაგეგმიური ექსპერტიზის ჩატარება სატენდერო კომისიის მიერ მითითებულ საექსპერტო

დაწესებულებაში და სატენდერო კომისიისთვის შედეგების წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს გამარჯვებული მიმწოდებელი.

2.25 ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანებით დამტკიცებული „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით“ საწვავის სახელმწიფო შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2.26. ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი სუპერის მოცულობა, ხელშეკრულების ღირებულება და ავტომატური რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

3. ნავთობპროდუქციის (საწვავის) - ბენზინი სუპერის (ოქტანობა არანაკლებ 98) 2014 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის ვადები და სხვა პირობები

3.1 კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადებების მიღება იწყება 2013 წლის 17 დეკემბერს და მთავრდება 2013 წლის 18 დეკემბერს. სატენდერო წინადადების განხილვა სატენდერო კომისიის მიერ ხდება გონივრულ ვადაში და შედეგები ქვეყნდება სისტემაში.

3.2 კონსოლიდირებულ ტენდერში წარდგენილი სატენდერო წინადადება, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, სატენდერო კომისიის მიერ დაუშვებლად იქნება ცნობილი.

3.3. გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს ამ სატენდერო დოკუმენტაციის 2.12 პუნქტით გათვალისწინებული P და R და მათ საფუძველზე გამოთვლილი მიმდინარე თვის მისაწოდებელი სუპერის 1 ლიტრის ფასი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს გამარჯვებული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3.4 სატენდერო კომისიის სახელზე კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული შეტყობინებები შესაძლებელია გაიგზავნოს შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: oil2014@spa.gov.ge ან შესაბამისი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მისი დანერგვის შემდეგ.

3.5 გამარჯვებულმა მიმწოდებელმა თავის ვებგვერდზე უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი სუპერის ყოველდღიური ფასის შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა. გამარჯვებულმა მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი სუპერის ყოველდღიური ფასის შესახებ ელექტრონული ფოსტის მისამართზე

oil2014@spa.gov.ge ან შესაბამისი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მისი დანერგვის შემდეგ.

3.6 გამარჯვებულმა მიმწოდებელმა და შესაბამისმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ყოველი თვის 10 რიცხვამდე სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით ინფორმაცია წინა თვის მოხმარებული საწვავის შესახებ.

3.7 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სუპერის მიწოდება ხდება 2014 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.